# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 107. კვირა, 6 აპრილი 1903 წ. გაზეთის № 2116.



ქრისტე აღსდგა!

*
* *

„ქრისტე აღსდგა“-ო? გულმა ირწმუნა,
მაგრამ გონებამ არ დაიჯერა,
გრძნობამ ღაღადჰყო—„ჭეშმარიტად“-ო,
თუმცა ენამ კი ვერ თქვა და... ვერა.
„ქრისტე აღსდგა“-ო! ამ ძვირფას სიტყვებს
კვლავ იმეორებს მამათ ტაძარი...
მე კი რას ვხედავ?—ირგვლივ გოლგოთა
და ზედ ურიცხვი წამების ჯვარი!
„ქრისტე აღსდგა“-ო? ჩვენ გვეთქმის ესა?!
ჩვენ ხომ უარ ვყავთ ქრისტეს მოძღვრება:
ჩვენ არ ვიყავით, რომ უსირცხვილოდ
ფეხით დავთრგუნეთ მაღალი მცნება?
ჩვენ არ ვიყავით, ძმას ძმისა სისხლი
ქრისტეს სახელით დავანთხევინეთ?
ვგმობდით იუდას და იუდობა
ამავ სახელით სხვას ვაქმნევინეთ?
არა, ნუ ამბობთ „ქრისტე აღსდგა“-ო,
როცა გარშემო გოლგოთას ჰხედავთ,
რაკი ამრავლებთ თხემისა ადგილს,
„ქრისტე აღსდგა“-ო! როგორ-და ჰბედავთ?!

1903 წ. 2 აპრილს. განდეგილი



ბოგირზე.—სურ. სტანტონისა

# ის

(სააღდგომო ამბავი)

ის სულ ახალგაზრდა ქალი იყო. ამ ერთის წლის წინად რომ გენახათ, იტყოდით: „არა მინდა რა, ოღონდ იმის ყურებით გამაძღოვო.“

შუა ტანისა, თანასწორად და შეთანხმებით ასხმულ-აგებული, ხშირის თაფლის ფერის თმით და ჟუჟუნა თვალებით— მართლა რომ თვალ წარმტა[illegible] ცოტა სუსტი და ოდნავ [illegible]ფილი სახეზედ, [illegible]ამოვნებით აღსავსე შებრალებას იწვევდა კაცში და უნებლიეთ ულვიძებდა წმინდა, დაფარულ სიყვარულს. იმისი ღარიბი მშობლები— მამა სახლში მომუშავე ხელოსანი იყო —ამაყობდნენ თავიანთის ქმნილებით. სიღარიბე არც იმათა ჰზოგავდა და ხშირად ასმევდა თავის შხამიან ფიალას, მაგრამ მაინც კმაყოფილნი იყვნენ ბედისა. მწუხარებას იმათ ოჯახში ადგილი არა ჰქონდა, მომავალი ხომ ნეტარ სურათებათ იხატებოდა იმათ ოცნებაში. მეზობლები თუ ნაცნობები შეჰნატროდნენ ამ ოჯახის მხიარულ, უდარდელ ცხოვრებას.

მაგრამ უკანასკნელმა წელიწადმა სულ შესცვალა სურათი. ნეტარი იმედები მომავლისა განქრა და სიხარული მწუხარებად შეიცვალა. იმისი მამა ტკბილად აღარა ღიღინებდა მუშაობის დროს; დედა ხომ თითქმის დამუნჯდა. მწუხარებამ და დუმილმა მოიკალათა ოჯახში. იმის მშობლებს არავისთვის არა შეუჩივლიათრა, დედასაც და მამასაც ერთი და იგივე დარდი და ნაღველი აწუხებდა, ორივე კარგადა ჰგრძნობდა ამას, მაგრამ ვერც ერთი ვერა ჰბედავდა გულის ნადების სიტყვით გამოთქმას. საკუთარის ხმისაც კი ეშინოდათ. იმათ გულში ჯოჯოხეთური ცეცხლი ტრიალებდა, ალი ყელში აწვებოდათ ამოსახეთქად, მაგრამ გასაოცარის ძალით უკანვე, გულისკე იბრუნებდნენ. ხშირად ხმა ამოუღებლად ერთმანეთს შეჰხედავდნენ, თითქო თვალებით სცდილობდნენ თავი ენუგეშებინათ, ორიოდე ცრემლს გადმოაგორებდნენ ხმელ და აკანკალებულ ლოყებზედ, მძიმედ ამოიოხრებდნენ და ერთმანეთს მოშორდებოდნენ.

— კმარა, ნინო, კმარა! შუბლის წერას ვერსად წაუხვალ...—ათასში ერთხელ ამის თქმას თუ გაჰბედავდა მამა, ისიც მაშინ, როცა დედა ველარ იმაგრებდა თავს და გულამომჯდარი სლოკინს მოჰყვებოდა.

„ბედის წერის“ შინაარსი მხოლოდ თავისით იგულისხმებოდა, სიტყვით კი არასოდეს არ ითქმოდა. მეზობლებს ისე უფრთხოდნენ, როგორც დაუძინებელ მტრებს. იმათთან მისვლამოსვლა შესწყვიტეს, რადგან სირცხვილით ვერავის თვალს ვერ უსწორებდნენ. თუ შემთხვევით გამოელაპარაკებოდა ვინმე, მაშინვე სიტყვას გააწყვეტინებდნენ და გულის ფანცქალით სახლისკენ გაეშურებოდნენ. ეშინოდათ, „საშინელ სიტყვისთვის“ ყური არ მოეკრათ. კარი ჩაიკეტეს, ჩაიჩულნენ, ამ სოფელს თითქო აღარ ეკუთვნოდნენ. მეზობლებს და ნათესავებს ლაღანი გაჰქონდათ იმათზე. უფრო კი ყველას უხაროდა, რასაკვირველია.

ის ეხლა აღარ წარმოადგენდა იმას, რაც ამ ერთის წლის წინად იყო. თვალები მორღვეოდნენ და ღრმად ჩასცვივნოდნენ; ძველებურად ცეცხლს აღარ აფრქვევდნენ და მხოლოდ ოდნავლა ჰკრთოდნენ. ლოყები ღონივრად შეწეულიყვნენ, გული კარგა შიგნით შესულიყო და ბროლის მსგავსი თეთრი მკლავები ჩინჩხვარივით მილეულიყვნენ. ის ეხლა მშობლებს თვალს ველარ უსწორებდა, თავ-დახრილი და მუხლებ-ჩაკეცილი ერთ ამოჩემებულ კუთხეში იჯდა და საკერავ მანქანაზე ხმა-ამოუღებლად თეთრეულს ჰკერავდა,—ჰრა-კერვით აღებულ ორიოდე გროშით ეხმარებოდა ღარიბ დედ-მამას. შენაკერს უფრო მეტი წილი ცრემლი უერთდებოდა, ვიდრე ძაფი. უკანასკნელი თვეები იმისთვის სულის აუტანელი ტანჯვა იყო.

ის ერთად-ერთი შვილი იყო მშობლებისა, რომელნიც ფარვანასავით თავს ევლებოდნენ, თვალ-წარბში შეჰყურებდნენ, შეჰხაროდნენ, იმის ტანის აყრას დღითი-დღე თვალით ზომავდნენ, ნეტარ წამებად სთვლიდნენ იმის ჰასაკში შესვლას, პირველ განთიადის წმინდა ლოცვაში მხოლოდ იმის ბედნიერებას სთხოვდნენ მაცხოვარს. ლოცვა-ვედრება თითქო ისმინა უფალმა: ეღირსათ მისი ქალობა. პირველმა წმინდა და უმანკო გრძნობამ გაიღვიძა ახლად გადაშლილ გულში, თავდავიწყებამდის გაიტაცა და მწარე ნაყოფი გამოსცა... მაგრამ ჩვენც ვცეთ პატივი მშობლებს, ჩვენც გავჩუმდეთ ამაზედ.

მთელის წლის განმავლობაში მშობლებს ქალისთვის უბრალო სიტყვა, უბრალო საყვედური არ უკადრებიათ. პირ-იქით, სცდილობდნენ ისე დაეჭირათ თავი, რომ ის არც-კი რას მიმხვდარიყო; ეხლა უფრო ნაზათ და მოკრძალვით ეპყრობოდნენ შვილს, იმის სახის მოძრაობას თვალს არ აშორებდნენ,

უკანასკნელ სურვილს უსრულებდნენ და, რაც შეეძლოთ, ყოველ ღონეს ხმარობდნენ დაერწმუნებინათ, რომ იმ უბედურ შემთხვევისა არა იცოდნენ-რა.

ის აშკარად ჰგრძნობდა მშობლების სულის-კვეთებას და ეს ერთი ათასად ულრღნიდა სინიდისს. დღეში ათასჯერ დააპირებდა „ცოდვის“ ხმა მაღლა გამხილებას, თავს გულის კანკალით ასწევდა, მაგრამ შეჰხედავდა თუ არა მშობლების ტანჯულ სახეს, სიტყვას ვეღარ ახერხებდა, სირცხვილით სახე ენთებოდა და ცრემლ-მორეული, ღონე-მიხდილი ისევ საკერავ მანქანას უბრუნდებოდა. აჩქარებით მოჰყვებოდა მუშაობას. ლაპლაპა ბორბლის შრიალს რაღაც უსიტყვო სიმღერას უერთებდა, ხან გიჟივით გაიღიმებდა. ამდროს ცრემლებს საკერავზედ ღაპა-ღუპი გაჰქონდა. მშობლები სულ-განაბულნი შეჰყურებდნენ იმის ტანჯვა ვაებას, სინამ იმათაც ცრემლი მოერეოდათ. მაშინ მამა წამოდგებოდა ფეხზედ, მაგიდასთან მივიდოდა და მოჰყვებოდა გაუგებრად ხელების ფათურს. დედა კი გარედ გავიდოდა, კედელს აეკვრებოდა და ჩუმად ქვითინს ამოუშვებდა.

ახალგაზრდა ქალი დღითი დღე კელპტარივით დნებოდა. მშობლების შიში უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ღამე იმათ თვალებს ძილი აღარ ეკარებოდა; ათასი შავი ფიქრი სულის სიმშვიდეს ურღვევდა. ის ხშირად კვნესოდა ძილში. მშობლებს მთელი ღამე თავი მაღლა ეჭირათ და ლახვარივით გულში ჰხვდებოდათ შვილის ამონაკვნესი. მამის გულში ხანდისხან მხეცი გაიღვიძებდა, ლოგინიდან წამოიწევდა, დააპირებდა საშინელებას... მაგრამ უეცრად ტანში დაიკრუნჩხებოდა, აუტანელის სიმწარით რაღაც უკბენდა გულში და ჩუმის ქვითინით, მოდუნებული, ხელ ახლა დაეშვებოდა ლოგინზე.

ის წამითი-წამზე წმინდა სანთელივით იწოდა.

აღდგომის შაბათ საღამო იყო. ერთის წუთით ყველას თითქო სევდა-ვარამი შემსუბუქებოდა. აქა-იქიდან ისმოდა ქორფა ბატკნების, ამ უმანკო მსხვერპლების, ბღავილი და ბავშვების გულუბრყვილო მხიარული ღრიანცელი.

ის საყდრის კარებთან, კუთხეში, თეთრ უმტვერო ფარჩის კაბაში მორთული, გულხელ დაკრეფილი იდგა და ნაღვლით სავსე, მიმკრთალი სახე ძირს დაეხარა. დროგამოშვებით მისუსტებულ, ცრემლით ჩალურჯებულ თვალებს მაღლა ასწევდა, სასოებით მიაშტერდებოდა უშველებელ, ჯვარზე გაკრულ შესისხლიანებულ მაცხოვრის ხატს და სცდილობდა გულმხურვალედ ელოცნა. მაგრამ ლოცვას ვერ ახერხებდა, წმინდა სანთლის შუქი თეთრ სუდარათ ედებოდა იმის მილეულ, ფერ-მიხდილ, სუფთა სახეს და ხორც შესხმულ ანგელოსად ჰხატავდა.

ხალხი საყდარში ბუზივით ირეოდა. ზოგს საკურთხებლად მარილი მოეტანა, ზოგი შუბლ-მოჭედილ ხატის წინ სანთელს ანთებდა, ზოგი მუხლ-მოდრეკით ხმა-მაღლა ლოცულობდა. ბევრი წილი კი ალსარებას ელოდდა. კუთხეში დიაკვანი გაურკვევლად, სულ ერთ ხმაზე ბუტბუტებდა, შიგა და შიგ შესწყვეტავდა, ქალის სანთლების მომრთველს რაღაც განკარგულებას მისცემდა, ხან მლოცველთ გამოეხმაურებოდა და ისევ კითხვას განაგრძობდა. საკურთხევლის მახლობლად, კუთხეში, მღვდელი რიგ-რიგზე ალსარებას ათქმევინებდა. ყველა თავის საქმეში იყო გართული და იმისთვის არავის ეცალა. მხოლოდ ერთხელ ორმა შავებით მოსილმა მანდილოსანმა თვალი მოჰკრეს, უსიამოვნოდ ცხვირები აიწიეს და ერთმანეთს რაღაც წასჩურჩულეს. იმას სრულებითაც არ შეუმჩნევია ესა.

თითქმის ყველამ გაათავა ალსარება. ის კი ისევ გაქვავებულივით იდგა და მღვდელთან მისვლას ვერა ჰბედავდა. მალე მღვდელიც წამოდგა ფეხზედ. ეხლა, როგორც იყო, თავს დასძლია და ალსარებისთვის მიუახლოვდა. რაღაც ნელი ქვითინი მოისმა მღვდლის ოლარის ქვეშიდან. მღვდელმა ოდნავ ნაღვლიანად თავი გაიქნია, პირჯვარი გადასწერა და ხელზედ ამთხვევინა. ქალი წამოდგა, შებარბაცდა, პაწია, სუფთა ხელსახოცით ცრემლები მოიწმინდა, კედელს მიუახლოვდა და, მისუსტებული, მუხლებზედ დაეშვა. ცოტას დამშვიდებული, დიდხანს, დიდხანს ლოცულობდა.

ღამის თორმეტი საათი შესრულდა. ზარბაზანმა ჰაერი შეარყია. ასტყდა ზარების რეკვა. ხალხი საყდარში მიეშურებოდა. შორიდან კაცს ეგონებოდა, საყდრებს ცეცხლი გასჩენიაო. ისე მაღლა სწვდებოდა უთვალავ სანთლის შუქი, რომ გუმბათებსაც კი ანათებდა. საყდარში ჭედვა აღარ იყო.

ის ისევ ძველ ადგილას იდგა და მხურვალედ ლოცულობდა. ხალხი ხმაურობდა, ღელავდა, „ქრისტე აღსდგა“-ს ულოცავდა ერთმანეთს. ამას ზედ ერთოდა მღვდელ-დიაკვნის ხმა მაღლა ლოცვა, მგალობელთა გუნდის მწყობრი გალობა და ყველა ეს სიამოვნებით ატოკებდა გულს. მარტო იმას რაღაც მძიმე და აუტანელ სევდათ ედებოდა გულზედ, რადგან წარსულს აგონებდა და დაკარგულ ბედნიერებას ცოცხლად უხატავდა. სული სტკიოდა, ცრემლად სდნებოდა. დღეს იმისთვის აღდგომა კი არა, განკიცხვის დღე იყო.

წირვა თავდებოდა. ხალხი ნელ-ნელა იკრიფებოდა საყდრიდან. შიგ მხოლოდ საზიარებლები რჩებოდნენ, რომელნიც სცდილობდნენ გაერღვიათ ხალხი და მოეშორებინათ თავიდან ვალი. ვიღაცას უსუსურმა ბავშვმა მჭახეთ შეჰკივლა, როცა მღვდელმა პირთან კოვზი მიუტანა. ბალღის თითქო ნაცნობმა ხმამ უცბად გამოარკვია ახალგაზდა ქალი. ,,ოჰ!‘‘—წამოსკდა გულიდან და ქორფა ხმისკენ გასაქანად გაიწია. ვიღაცის ღონიერ ზურგს მიჰკრა თავი და იმ წამსვე გონს მოვიდა.

,,არა, ის იქ არის, იქ!‘‘ ხმა მაღლა წამოიძახა და გიჟივით გულში იკრა ხელები. უეცრად ერთმა აზრმა გაუელვა თავში. სახე გაუბრწყინდა, თავისუფლად ამოისუნთქა, მარდად კაბის კალთები მოიკრიფა და საყდრიდან გაეშურა. აჩქარებით მიდიოდა თავის მეგობარ მკერავ ქალთან. ნახევარ საათს არ გაევლო, რომ იმის სახლში გულზედ იკრავდა ,,ცოდვის შვილს“ და გიჟივით ჰკოცნიდა.

იმის მშობლებს დიდი ხანია სტოლი გაემართათ, ზედ შემოეწყოთ, რაცკი მოეპოვებოდათ და იმის მოლოდინში იყვ-



საბაზროთ.—სურ. ვოკსისა

ნენ. დრო გადიოდა და ის კი არსადა სჩანდა. ორივეს შიშის ზარი იტანდა, ორივე ერთსა და იმასვე ჰფიქრობდა, მაგრამ

ერთი მეორისაგან ჰმალავდა ამას. ჩუმად ისხდნენ და ერთმანეთს ვერ უბედავდნენ შეხედვას. ათასში ერთხელ თუ წაილაპარაკებდნენ და ისიც სულ სხვა რამეზედ.

— შენ არსად წახვიდე... მე ეხლავ მოვალ!—როგორც იყო, დიდის ფიქრის შემდეგ, მიუბრუნდა ცოლი ქმარს და მხრებზედ წამოსასხამი გადიგდო.

— კარგი!—მოკლედ მიუგო ქმარმა. მიჰხვდა დედის განზრახვას. კარები მიხურა, მუხლებში მოსწყდა; როგორც იყო სკამზედ ჩამოჯდა და სასოწარკვეთილებით თავი ჩამოჰკიდა. დედა პირველად მიდიოდა მკერავ-ქალთან შვილის მოსაკითხად.

რიჟრაჟს აღარა უკლდარა. ბუნება ილვიძებდა. აქა იქ თითო-ოროლა ჩიტის ჭიკჭიკი მოისმოდა. ის ისე შემოვიდა ოთახში, რომ მამას არც-კი გაუგია.

— ქრისტე აღსდგა, მამი!—მთრთოლვარე ხმით წამოიძახა იმან და „ცოდვის შვილს“ პირსაფარი გადაჰხადა. მამა უცბად გონს მოვიდა და გიჟივით წამოიჭრა ფეხზედ.

— შვილო, ჭეშმარიტად!—წამოსცდა მამას და, ბალღის დანახვაზედ გაოცებული, ერთ ალაგას გაშეშდა.

„ცოდვის შვილი“ უდარდელად იღიმებოდა, პაწია ტუჩებს საყვარლად აცმაცუნებდა და ნახევარზედ მოხუჭულ თვალებს აქეთ-იქით მოუსვენრად აცეცებდა.

— მამი! მოსარეცხეთ წავალ... შევკერავ.. —ძლივს ახერხებდა სიტყვებს და ტირილით გულში იხუტავდა შვილს:—მე ნუ, მამი... ამას აპატიე...

— ჭეშმარიტად, შვილო, ჭეშმარიტად... მე... მე მაპატიეთ!..—ძლივს ლუღლუღებდა აცრემლებული მამა და გულაჩუყებული ორივეს ღონივრად გულში იკრავდა.

ამ დროს დედამაც კარი შემოაღო.

— ქრისტე აღსდგა!—მიახარა მაშინვე მამამ.

დედამ სიტყვის თქმა ველარ მოახერხა და სიხარულით მუხლებში ჩაიკეცა.

გ. მაქსიმიძე.

## „ქრისტე აღსდგა!“

ძილში მესმა ხმა რამ ტკბილი,
გული სწრაფად დამიტყვევა,
არე-მარე მოწყენილი
საოცნებოდ ამიყვავა:

ვხედავ, აგერ ია-ვარდი
ნაზად, ტურფად გაფურჩქვნილა,
მთლად ქვეყანა ზურმუხტის ფრად
გაშლილა და გაპენტილა!

იქ, ბუჩქებში, უზრუნველი
ისმის ფრთოსანთ ჟრიამული,
ვერცხლებრ ბზინვით, მხიარულად
მოსჩქებს ცელქი ნაკადული.

ჩუ! ბუნება თითქოს ზეცას
სიყვარულის ჰანგებს უმღერს
და მგოსანი ხმა-შეწყობით
იდუმალთა სიმთა აჟღერს!..

ჰა! აგერა, ზეციდგანაც
ანგელოსთა ისმის მღერა;
სჩანს, ჰსმენიათ სიყვარული
და ქვეყნისა გულის ძგერა!..

მთლად ავთრთოლდი, საზოგადო
სიხარულმა გამიტაცა
და ვიგრძენ, რომ იმ ერთს წამში
შეკავშირდნენ მიწა და ცა.

გავიღვიძე... დედა-მიწა
მზის სხივებში დასცურავდა,
მოყვარე და მტერი ერთურთს
„ქრისტე აღსდგას!“ ულოცავდა...

დავიწყებული.

1903 წ.



ტფილისელი მხატვრები

## ჩვეულებამ ათქმევინა



ქალი. თქვენ დაიგვიანეთ: მე ორმავალ კვირას ჯვარსაც ვიწერ...

კომისიონერი. ვწუხვარ, ვწუხვარ, მაშ მეორეთ შემოვივლი...



— ნიკი, ჩემო ძმაო, იბადება.

— ტყუილია, ტყუილი, ნიკს ახლა აკეთებენ...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.